პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
პარასკევი
12 ოქტომბერი
№ 235 (17580)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთწლედი, ეკონომია

სოციალისტური შრომის ვასტრეკ

თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა-დაწესებულებაში-ავიარეისი სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა რიგებში დგას. იგი მრავალი ათეული ინოვაციურ-ინიციატორია. ქარხნის მუშაობელები — ბრიგადა ეძებენ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და წარმოების დანაკარგების აღმოფხვრის გზებს.

სურათზე: ქარხნის აქტიური რაციონალიზატორები (მარცხნიდან) საამქროს კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დავლიანიძე, მღარავი გელა ლაზვიაშვილი, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე ლომიძე, მღარავები რომან გურჯალიანი და იაგო ბელქანია სახავენ საწარმოო ფონდების რაციონალური გამოყენების გზებს.

ვ. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

...ИДЕОЛОГИЧУР მუშაობას — ...ДАЛИ ქმედითობა

...ევრი კომპონენტისაგან ყალიბდება საბჭოთა ადამიანის ხასიათი, მასში მკვიდრდება ცოდნა, მრწამსისა და პრაქტიკული მოქმედების ის განუყოფელი შენადნობი, რომელსაც კომუნისტურ იდეურობას ვუწოდებთ. ასეთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია პარტიის იდეოლოგიური მუშაობა მასებში, მისი ღრმა და ყოველმხრივი იდეურ-ზნეობრივი ზემოქმედება.

„ვუნერგავდეთ ადამიანს მისწრაფებას მაღალი საზოგადოებრივი მოწესრიგებისაკენ, იდეურ სიმტკიცეს, შრომისადმი ნამდვილ შემოქმედებითს დამოკიდებულებას, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ეს ერთ-ერთი ყველაზე უპირველესი ამოცანაა. აქ გადის კომუნიზმისათვის ბრძოლის მეტად მნიშვნელოვანი ფრონტი, და ამ ფრონტზე ჩვენს გამარჯვებებზე სულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული ეკონომიკური მშენებლობის მიმდინარეობაც, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარებაც“.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტის ძირითადი გზები მკაფიოდ განსაზღვრა სკკპ XXV ყრილობამ. მოქმედების ვრცელ პროგრამად დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუჯობესების შესახებ“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების დასკვნები და რეკომენდაციები. და ახლა, მათი განხორციელების პროცესში, არც ერთი პარტორგანიზაცია, არც ერთი კომუნისტი არ უნდა დასჯერდეს მიღწეულს, მომთხოვნელად და თვითკრიტიკულად უნდა ამოწმებდეს გაკეთებულს, ამრავლებდეს მიღწეულს.

ადგილებიდან მოსული ცნობები მოწმობენ, რომ პარტიულ ორგანიზაციებში, შრომითს კოლექტივებში სრულყოფენ იდეური აღზრდის საქმეს, ამაღლებენ მის ეფექტიანობას. ყველა დონეზე — პარტიის პირველადი უჯრედებით დაწყებული და საოლქო და სამხარეო კომიტეტებით, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებით დამთავრებული — შემუშავებულია პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმები, განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დასახული ამოცანების რეალიზაციის ძალები და საშუალებები. ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი განიხილეს აგრეთვე საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებში, სამეწარმოებსა და უწყებათა კოლეგიების ჩათვლით, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში. კარგად მომზადებულნი შეუდგნენ ახალ სასწავლო წელს მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემის პროპაგანდისტები და მსმენელები.

ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებითად იწყება მხოლოდ დიდი და პასუხსაგები მუშაობის პირველი, თავდაპირველი ეტაპი. მთავარი საზრუნავი წინ არის. იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ჩვენი პროპაგანდისა და აგიტაციის, იდეურ-ზნეობრივი გავლენის ყველა ფორმის მაღალი მეცნიერული დონე, შეტევითობა, იმისათვის, რომ განვამტკიცოთ მათი კავშირი ცხოვრებასთან, საჭიროა კიდევ უფრო ბეჯითად დავამკვიდროთ ყველა უბანზე აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა.

...ოქტომბრის მოწინავე

...ედი ძალებისა და საშუალებების ზუსტი კოორდინაცია, მივაღწიოთ ორგანიზაციული, სამეურნეო და იდეოლოგიური მუშაობის უმაღლეს ერთიანობას.

...დამიანთა პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი წრთობის მნიშვნელოვანი პირობა მათი შეგნებისა და აქტიურობის, შრომისა და ...ოების კულტურის ამაღლებისათვის მუდმივი ზრუნვა, აღზრდის ...ელაზე ეფექტიანი მეთოდების ძიება და დამკვიდრება, მოწინავე ...ამოცდილებაზე დაყრდნობა. შეიძლება გავიხსენოთ დიდი, საინტერესო და შინაარსიანი მუშაობა, რომელმაც აამაღლა შრომითი ...ოლექტივებისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის აღმზრდელობითი როლი მოსკოვში, ლენინგრადში, რიგაში. საბჭოური ცხოვრების ...ეს პროპაგანდის საყურადღებო გამოცდილება შეიძინეს ...ეროპერტოვსკისა და უკრაინის მთელი რიგი სხვა ოლქების პარტორგანიზაციებმა. ბელორუსიის საწარმოებში კარგად გამოიჩინეს თავი ზნეობრივი აღზრდის სახალხო უნივერსიტეტებმა. ყველგან ტრადიციული გახდა ერთიანი პოლიტდღეები, კითხვა-პასუხის ...ამები, „ლენინური პარასკევები“. როცა მხარს ვუჭერთ და ვიცავთ კარგი ინიციატივის თითოეულ ნაპერწკალს, ადგილობრივი ...ამოცდილების თითოეულ მარცვალს, უფრო ბეჯითად უნდა განვუ...ოროთ ახლის გრძნობა ყველას, ვისაც დამოკიდებულება აქვს ...ასების აღზრდასთან, უფრო გადაჭრით დავძლიოთ აზრის ინერტულობა და უძრაობა, დრომოჭმული მეთოდებისადმი ერთგულება, ...ურარხეინობა და ფორმალიზმი.

...ღმზრდელობითს ღონისძიებათა ეფექტიანობა მნიშვნელოვნად ...ამარდება იქ, სადაც ირღვევა სიტყვისა და საქმის ერთიანობა. ...ამავარი მაგალითები კი ჯერ კიდევ გვხვდება. ახლახან სკკპ ჩუვაშეთის საოლქო კომიტეტის ბიუროომ განიხილა საკითხი იდეურ-ზნეობრივი აღზრდისათვის მუშაობის შესახებ, რომელსაც პარტიის ...ატორის საქალაქო კომიტეტი ეწევა. აღინიშნა, რომ ეს თემა საუფლოდ განიხილეს საქალაქო პარტიული აქტივის კრებაზეც და საქალაქო კომიტეტის პლენუმზეც. შედეგები კი როგორია? ...ოვრებელ ადგილას მოსახლეობას შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა თითქმის არ წარმოებს, საინფორმაციო-პროპაგანდისტები ჯგუფები არ შეუქმნიათ, არ არის არც ერთი მოწყობილი კომპლექსური აგიტმოედანი. ქალაქში მაღალია დამნაშავეობის დონე. საწარმოებში გაცდენების გამო დიდია სამუშაო დროის დანაკარგები.

დიდი ხანია ცნობილია: მტკიცე წარმატება არ მოჰყვება არც სხვადასხვა რიცხვს, არც ბრტყელ-ბრტყელ დაპირებებსა და ლაქაჩქს, მას განსაზღვრავს ბეჯითი, გულმოდგინე, ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა თითოეულ შრომითს კოლექტივში, თითოეულ სახლში, თითოეულ ოჯახში. მას უზრუნველყოფს პრინციპიანობა, ადამიანებისადმი ამხანაგური მომთხოვნელობისა და ...ურადღების, უყაირათობისა და დოყლაპიობისადმი, თვალის ახვევისა და მოჩვენებითობისადმი, ჩვენი ცხოვრების ზნეობრივი ნორმებისაგან ყოველგვარი გადახვევისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო.

ამ დღეებში, გრძელდება საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველადსა და საამქრო პარტიულ ორგანიზაციებში. ისინი ხელს უწყობენ იდეური-აღზრდის სფეროში გაკეთებულის ობიექტურ შეფასებას. როცა ასრულებენ ყოველივე საყურადღებოს, რაც კი განხორციელებულა ბოლო ინტერვალში, ბევრ ადგილებში ბოლელობენ ...ენებსა და წინადადებებში, ახლად არჩეულმა პარტიულმა ბიუროებმა საქმე ისე უნდა წარმართონ, რომ ჩვენს პროპაგანდისტებს და აგიტატორებს კიდევ უფრო ქმედითი ხასიათი მიანიჭონ. მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდას, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის, მტრული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. ყოველი კომუნისტი, სადაც უნდა შრომობდეს იგი, ლენინური პარტიის იდეების პროპაგანდისტი და გამტარებელი უნდა იყოს, ამ საქმეს ახმარდეს მთელ თავის ცოდნასა და მგზნებარებას.

კომუნიზმის მშენებლობა მოითხოვს, გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, „ყოველმხრივ განვითარებული და ყოველმხრივ მომზადებული ადამიანებს“ აღზრდას. პარტიული ორგანიზაციების ვალია განახორციელონ ლენინის ეს ანდერძი, მიაღწიონ, რომ ჩვენი დღეების სიდიადისადმი ურყევი რწმენა, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, თითოეული საბჭოთა ადამიანის შთამაგონებელი სტიმული გახდეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის შედეგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სრულ კმაყოფილებას გამოთქვამენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წარგზავნილი სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის 1979 წლის 4-8 ოქტომბრის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგების გამო.

საბჭოთა დელეგაციის ვიზიტი, რომელიც რესპუბლიკის 30-ე წლისთავის დღესასწაულობაში მონაწილეობდა, უთვალსაჩინოესი მნიშვნელობის მოვლენა გახდა როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამოქმედების შემდგომი განმტკიცების მხრივ, ისე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საარსებო ინტერესების თვალსაზრისით.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, საბჭოთა დელეგაციის წევრებისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის მოლაპარაკებისა და შეხვედრების დროს გაიმართა აზრთა გაზიარება ორი ქვეყნის თანამშრომლობის ყველა უმნიშვნელოვანესი ასპექტის გამო, განისაზღვრა მისი სრულყოფისა და გაღრმავების ძირითადი მიმართულებანი ხანგრძლივი პერსპექტივისათვის. ორი ქვეყნის ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ შესაძლებლობათა შეერთებამ დიდი სამეურნეო ამოცანების ერთობლივი გადაწყვეტის მიზნით უკვე შესანიშნავი ნაყოფიერი შედეგები მოგვიტანა. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, უდავოდ, ახალ იმპულსს მიანიჭებს 1990 წლამდე პერიოდისათვის სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების პროგრამა, რომელსაც ვიზიტის დროს მოაწერეს ხელი.

უაღრესად გულთადი მიღება, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაუწიეს საბჭოთა დელეგაციას, გადაიქცა იმ უოლვეკი ძმური ურთიერთობის დემონსტრაციად, რომელიც სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს აერთიანებს. აგერ უკვე სამი ათწლეულია ორი მომძლე სახელმწიფოს მჭიდრო კავშირი საიმედოდ ემსახურება მშვიდობისა და აღმშენებლობის მიზნებს. მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ ამ მიზნებს იგი კვლავაც მოემსახურება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 30 წლისთავის დღესასწაულობა გახდა შთამბეჭდავი დათვალიერება იმ მიღწევებისა, რომლებიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვეს გერმანელმა მშრომელებმა საზოგადოების ცხოვრების ყველა დარგში — სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში, ეკონომიკის აღმავლობაში, მეცნიერებისა და კულტურის აყვავებაში, მასების კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომელიც თანამიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის, ხალხთა თავისუფალი, დამოუკიდებელი განვითარების უფლებათა დაცვის პოლიტიკას, მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი მოიხვეჭა, მისი ხმა სულ უფრო ძალუმად გაისმის ევროპისა და მსოფლიოს საქმეებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრინციპულად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ის, რომ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ბერლინში წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებულმა ახალმა საბჭოთა ინიციატივამ სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების პრობლემებზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა მოძმე ქვეყნების სრული მხარდაჭერა პოვა. იგი დიდი ინტერესით აღიქვეს ბევრი ქვეყნის გავლენიან წრეებში, და ამ ინიციატივამ განუმტკიცა ხალხებს მშვიდობის დამკვიდრების იმედი.

ამასთანავე, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ნატოს ქვეყნებში, საბჭოთა ინიციატივის პოზიტიური ხასიათის აღიარებასთან ერთად, კვლავინდებურად ცდილობენ გამოჩხრიკონ მოგონილი აგრუმენტები, რათა განახორციელონ თავიანთი საშიში გეგმები — განალაგონ დასავლეთ ევროპაში საშუალო რადიუსის მოქმედების ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღი, ანუ დაარღვიონ კონტინენტზე დამყარებული ორი დაჯგუფების სამხედრო ძალების წონასწორობა.

საბჭოთა ინიციატივამ დასახა შესაძლებლობა, რომ თავიდან ავიცილოთ გამალებული შეიარაღების შემდგომი გამალება, დავადგეთ რეალური განიარაღების გზას, შევინარჩუნოთ და ვამრავლოთ დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ნაყოფი. ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებზე, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე, ნატოს სხვა ქვეყნებზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებენ ამ შესაძლებლობას. დასავლეთის ქვეყნების ხელმძღვანელებმა პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა გამოიჩინონ და კეთილი ნების სულისკვეთებით უპასუხონ საბჭოთა კავშირის მაგალითს, ხალხები მოელიან ამას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი, როგორც ეს ბერლინში განაცხადა ლ. ი. ბრეჟნევმა, მთელი ენერგიითა და სიმტკიცით იღვაწებს, რათა გაათავისუფლოს 80-იანი წლები ეჭვისა და შიშისაგან, და რაც მთავარია — გამალებული შეიარაღებისაგან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მთლიანად მოიწონეს დელეგაციის საქმიანობა და დაავალეს შესაბამის უწყებებს უზრუნველყონ სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ვიზიტის დროს მიღწეულ მორიგებათა სრული რეალიზაცია.

მეგობრობა — ფრონდშაფტ!

გაიხსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები სსრ კავშირში

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და ძმური ერთიანობის შთამბეჭდავი დემონსტრაცია გახდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები. ეს ჩვენი ქვეყნების კულტურული თანამშრომლობის ისტორიის ყველაზე წარმომადგენლობითი ანგარიში, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 30-ე წლისთავს ეძღვნება, 10 ოქტომბერს გაიხსნა კრემლის ყრილობათა სასახლეში.

აქ შეიკრიბნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოსკოვის საწარმოთა მუშები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი.

საღამოს დაესწრნენ ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. კირილენკო, პ. ნ. დემიჩევი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტ. ი. კისელიოვი. დარბაზში იყო დელეგაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. ჰაგერის მეთაურობით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ჰ. ოტი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის, ბ. ჰოფმანს. ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, თქვა ბ. ჰოფმანმა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 30-ე წლისთავს საბჭოთა კავშირის მშრომელები ყველგან აღნიშნავდნენ როგორც თავიანთ საკუთარ დღესასწაულს. ეს დამაჯერებლად მოწმობს, რომ ჩვენს პარტიებსა და ხალხებს ურღვევი მეგობრობა და ბარეობელი ურთიერთობა აკავშირებთ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ გამოეხმაურნენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ვიზიტს ჩვენს ქვეყანაში. ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისა და დაძაბულობის შენელების გაღრმავების კონსტრუქციული წინადადებანი, რომლებიც მან დასახა ბერლინში წარმოთქმულ უაღრესად დიდმნიშვნელოვან სიტყვაში, მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები. მტკიცედ ესწრაფვიან მშვიდობას.

„მეგობრობა — ფროინდშაფტ“ — ეს მუსიკალური კომპოზიცია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა სადღესასწაულო კონცერტის ერთგვარი ლაიტმოტივი გახდა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს გერმანული სახელმწიფო ანსამბლი „ბერლინერ ენსემბლ“, ბალეტმა, ეროვნული სახალხო არმიის ე. ვანერტის სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, ბერლინის სახელმწიფო კაპელამ, ლაიფციგის გუნდმა, წამყვანმა მომღერლებმა, სოლისტ-ინსტრუმენტალისტებმა. კონკრეტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალისტური სინამდვილე ეს არის ცენტრალური თემა ეამოფენისა, რომელიც 10 ოქტომბერს გაიხსნა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიაში. გამოფენაზე წარმოდგენილია მომძლე ქვეყნის ახალგაზრდა მხატვართა მიერ შექმნილი 200-მდე ფერწერული, გრაფიკული ნაწარმოები.

სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნის ილუსტრაციის გამოფენა. აქ ექსპონირებულია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები, ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ე. ჰონეკერის შრომები.

(საკდესის კორ.).

...ეაკვეჯეთა ...ვლილი

ბათუმი. („კომუნისტის“ კორ.). რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს — ხის დამმუშავებელი კომბინატის (დირექტორი ს. მოსესოვი) კოლექტივმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავის აღსანიშნავად ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრა.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ქვეყნის მონათესავე საწარმოთა შორის მრავალგზის გამარჯვებულმა, რომლის პროდუქციაზეც განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ჩვენში, სამშობლოს ვადაზე ადრე უპატაჟა ხუთწლედის მეოთხე წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო დავალების შესრულება. განვლილი თვეების მანძილზე გეგმით გათვალისწინებული 4 მილიონ 580 ათასის ნაცვლად რეალიზებულია 4.722 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც გეგმას 3,1 პროცენტით აღემატება. მთლიანი პროდუქციის დავალება კი 102,5 პროცენტით შესრულდა.

ბათუმელ მეავეჯეთა სასახელო გარჯის ნაყოფია ის, რომ დღეს მათი სხვადასხვა სახის საოჯახო სამზარეულო ავეჯის გარნიტურის 75 პროცენტს საერთო მოკულობაში სახელმწიფო ხარისხის ნიშანი ამშვენებს.

ქვეყნად მშვიდობის დასამკვიდრებლად!

საქართველოს მუშრომელთა ერთსულოვანი გულისთქმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის მხარდასაჭერად.

რწმენას გვიმტკიცებს

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებთან ერთად მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა აღფრთოვანებით შეხვდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სამშვიდობო ინიციატივას, რომელიც გულისხმობს ცენტრალური ევროპაში საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეების რიცხვის შემცირებასა და იქიდან გარკვეული რაოდენობის ტექნიკის გამოყვანას. ეს წინადადება ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯია მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში; ამასთან იგი ხელს შეუწყობს დასავლეთის სახელმწიფოებსა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობის შემდგომ ნორმალიზაციას — კაპიტალისტური ქვეყნების მეთაურნი იძულებული იქნებიან საქმით უპასუხონ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელის კონსტრუქციულ წინადადებას.

ჩვენი უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექტივი თავის ხმას უერთებს ბერლინში გამართულ საზეიმო სხდომაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, უფრო მეტი რწმენითა და მონდომებით იბრძოლებს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა შესასრულებლად, ყოველმხრივ მომზადებული, მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული დირსეული კადრების აღსაზრდელად.

ბ. ბამსახურდია,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის კათედრის პროფესორი.

სიკეთილის კარის ჩასარაზავად

ახლა რაღას იტყვიან მითიური „საბჭოთა სამხედრო საფრთხეზე“ მოლაყბე ნატოს მესვეურნი! — კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ კიდევ ერთხელ ცხადყვეს, რომ მშვიდობას ესწრაფვიან, როცა უპრეცედენტო ღონისძიების განხორციელება გადაწყვეტეს — ცალმხრივად შეამცირონ საბჭოთა ჯარების რიცხვი და შეიარაღება ცენტრალურ ევროპაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 30-ე წლისთავის დღესასწაულზე ბერლინში ჩვენი ძვირფასი ლეონიდ ილიას ძის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში დასახულია თერმობირთვული კატასტროფისაგან კაცობრიობის ხსნის რეალური, პრაქტიკული ღონისძიებანი.

მე სამხედრო კაცი ვარ. ბრძოლებთან განვლილ დიდი სამამულო ომის გზები სტალინგრადიდან დრეზდენამდე, და მერწმუნეთ — არა არის რა უფრო დიადი საშური რამ, ვიდრე მშვიდობის შენარჩუნებისათვის ზრუნვა, გამალებული შეიარაღების შენელებისათვის გადადგმული თითოეული ნაბიჯი, რადგან ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს, მომავალ თაობებს მხოლოდ მშვიდობა უნდათ!

ჩვენ, დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, ომების ყველა საშინელებათა უშუალო მოწმეთ, განსაკუთრებით გვწვდება გულში როგორც ევროპაში, ისე მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელებისათვის გამიზნული კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა ზრუნვა. მისი წარმატების საწინდარია მომძლე ქვეყნების ეკონომიკის, დემოკრატიის პროგრესი, რაც ხალხთა კეთილდღეობის ზრდას, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას უზრუნველყოფს.

ნ. თავართქილაძე,
გადამდგარი გენერალ-მაიორი, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა თბილისის სექციის თავმჯდომარის მოადგილე.

დაე, უღრუბლო ზეცა გვფარავდეს!

ჩვენ, ახალგაზრდებს მხოლოდ მშვიდობა გვინდა, მშვიდობა, რათა ვისწავლოთ შენება და ვაშენოთ მომავალი, ბედნიერი მომავალი. სწორედ ამიტომ კიდევ ერთხელ გულში ჩაგვწვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წინადადება, რომელიც მან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიდი დღესასწაულის მაღალი ტრიბუნიდან თქვა ქვეყნის გასაგონად — საბჭოთა მთავრობა მზად არის გამოიყენოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან 20 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი და ათასი ტანკი.

სტუდენტობამდე მე არმიაში ცხოვრების დიდი სკოლა გავიარე — სავალდებულო სამხედრო სამსახური გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოვიხადე. ჩვენ, საბჭოთა მეომრებს მტკიცედ გვწამდა ყოველთვის, რომ სოციალისტური სახელმწიფოების მოძმე არმიებთან ერთად წმიდათა-წმიდა მოვალეობას ვიხდიდით სოციალიზმის მეწინავე საზღვრების სადარაჯოზე.

და აი, ჩვენმა ძვირფასმა ლეონიდ ილიას ძემ ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი მისცა ყველას, ვინც ცდილობს კაცობრიობა დაანინოს „საბჭოთა საფრთხით“, თვითონ კი მილიარდები მოიგოს შეიარაღების კიდევ უფრო გამალებულ ციკლზე.

ჩვენ ვამცირებთ, თქვენ კი!...

მე ახლა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი ვარ. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა, რომ ახალგაზრდობამ არასოდეს იხილოს ომის საშინელება, იმედს გვაძლევს — შავი ღრუბლებით არ დაიჩრდილება ჩვენი მშვიდობიანი ზეცა.

ო. გიორგაძე,
სტუდენტი.

სუსხიანი სტრიქონები

ზოტელების სამდურავი

„შარშან ივლისში ჩვენს სოფელში დაიდგა ტელეგამაძლიერებელი სადგური, რომელმაც თითქმის ერთ თვეს იმუშავა, შემდეგ მეხი დაეცა და დაზიანდა, თითქოს შეაკეთეს კიდეც, მაგრამ ტელეხედვა დაიკარგა. ერთი სიტყვით, ცისფერ ეკრანს მოკლებულნი ვართ. გთხოვთ დახმარებას“.

„კომუნისტის“ რედაქციაში გამოგზავნილ ამ წერილს ხელს აწერენ მ. ირემაძე, ჯ. კონცელიძე, რ. ირემაძე, ფ. ტუნაძე და სხვები.

ზოტს, ამ მაღალმთიან სოფელს, ვეწვეთეთ. კოლმეურნეობის კანტორის ეზოში ზოტელებს მოუყრიათ თავი. მათ შორის იყო 90 წლის მიღწეული, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე მოხუცი უსუფი ანთაძე.

— არ გვიყვარს ზოტელებს საჩივრების წერა, — თქვა მან, — მაგრამ იძულებული გავხდით. ამ დალოცვილ მთაში მთელი 5-6 თვე ზამთარია, თოვლი ჩაკეტავს გზებს თუ არა, მოწყვეტილი ვართ ბარს. ამ დროს ტელევიზორი ნამდვილად დიდი შეგებაა!

სოფელში ტელევიზორს ვეღარ უცქერიან. თავს ნამდვილად ვერ იმართლებენ რესპუბლიკური ტელეცენტრის მესვეურები, უპირველეს ყოვლისა, ბათუმის სატელევიზიო გადამცემი სადგურის მუშაკები (უფროსი — ვ. კვაჭაძე), რომლებსაც მინდობილი აქვთ ტელეგადაცემათა კონტროლი, მეთვალყურეობა და ზედამხედველობა. ზოტში 240 ოჯახია, თითქმის ყველგან უდგათ სხვადასხვა მარკის ტელევიზორები, მაგრამ... რად გინდა!

კიდევ ერთი საყურადღებო სამდურავი გამოთქვეს ზოტელებმა: დიდი ხანია საექიმო უბანი გაიხსნა, მაგრამ ექიმი არა ჰყავთ. თურმე ამ სოფლის მკვიდრი ა. ირემაძე, როცა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შევიდა, ზოტელებმა გაიხარეს — ჩვენი ექიმი გვეყოლება. მაგრამ მან ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სულ ორიოდე თვე იმუშავა მშობლიურ სოფელში, მერე კი ბათუმში წავიდა, იქ ამჯობინა... ამჟამად ამოდენა სოფელს, სადაც 1.200 მცხოვრებია, ექიმი არა ჰყავს.

აი ეს არის მთის სოფლის გასაჭირი. ზოტელებს დახმარება ნამდვილად სჭირდებათ და ეს დახმარება არ უნდა დაუგვიანდეთ.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მეტყველი სტატისტიკა

ოთხი წლის წინათ, როდესაც ცხინვალის რაიონის თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის მებოცვრეთა ბრიგადის ბრიგადირი ვერა თედეევა პარტჯგუფორგად აირჩიეს, ერთი კილოგრამი ბოცვრის ხორცი მეურნეობას 12 მანეთი უჯდებოდა, ვერას ამით დაიწყო. პარტჯგუფის კრებაზე ითათბირეს კომუნისტებმა, მერე მეურნეობის ხელმძღვანელების წინაშე დასვეს საკითხი. საკვებით მომარაგება კი, გააუმჯობესეს, მაგრამ სათანადო შენობის უქონლობის გამო წონამატება მკვეთრად ვერ გაიზარდა. დაისვა ახალი საბოცვრის აშენების საკითხი და დადებითადაც გადაწყდა. დღეს შენობა მზად არის, მაგრამ გათბობაა მოსაწყობი, ჭიანურდება აგრეთვე სარწყულებლების შემოტანა და დამონტაჟება. სხვა საკითხებს შორის ამაზეც იყო საუბარი პარტჯგუფორგის მოხსენებაში, რომლითაც იგი თანამოსაქმეთა წინაშე წარდგა პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

ამ ოთხი წლის განმავლობაში სტატისტიკა ასე შეიცვალა: დღეს საბოცვრეებში წლიური გეგმით გათვალისწინებული 800 დედალი და 100 მამალი ბოცვერია და კიდევ ჩასაყენებელი — 570 ბოცვერი. წელს მარტო ნახევარ წელიწადში გეგმით ნავარაუდევი 5.100-ის ნაცვლად 7.140 ბაჭიაა მიღებული.

— ცენტნერი ხორცის წარმოება, — აღნიშნა მომხსენებელმა, — ოთხი წლის წინანდელ მონაცემებთან შედარებით, მკვეთრად შემცირდა (169 მანეთი გვიჯდება), მაგრამ ეს მაჩვენებელი საეგგმოსთან შედარებით (126 მანეთი) ისევ მაღალია. ამას ეთმობა სწორედ ბრიგადის კომუნისტთა ყურადღებაც.

ბრიგადის წევრთა საქმიანობას ისიც ანელებდა, რომ არ გვქონდა საკუთარი სასაკლაო. ამიტომ ბოცვრები გორში მიგვყავდა. პარტიული ჯგუფის ამასწინანდელმა კრებამ ამის თაობაზე იმსჯელა. პარტჯგუფორგმა მერე დახმარებისათვის მიმართა პარტიის რაიონულ ხელმძღვანელობას, საოლქო კომიტეტს. მდგომარეობა საფუძვლიანად იქნა შესწავლილი. შედეგმაც არ დააყოვნა. საკუთარი სასაკლაო საამქრო მწყობრში მალე ჩადგება. გარდა ამისა, ჯგუფის კომუნისტები საკუთარი სამოსტნე მეურნეობის მოწყობამარიამ ხუცინაშვილი, იგი ორას დედა ბოცვერს უვლიდა, ბაჭიების მიღება-გამოზრდასაც კარგად უძღვებოდა. ოჯახური პირობების გამო მარიამი საქმეს მოსწყდა და ქეთო გოგიჩაშვილმა შეცვალა იგი. ნახევარ წელიწადში მან გეგმაზე 100 ბაჭიით ნაკლები მიიღო. რა არის ასეთი უეცარი ჩავარდნის მიზეზი? ეს საკითხი პარტჯგუფის დავალება აქვს — ზოგი აგიტატორია, პოლიტინფორმატორი, ზოგიც კომკავშირელებს ეხმარება, კედლის გაზეთს უშვებს...

— უფროსების მაგალითით იზრდებიან ახალგაზრდები, — თქვა კომუნისტმა ვლადიმერ ნასუაშვილმა, — პარტჯგუფი ზრუნავს თავისი წევრების პოლიტიკური სიმწიფისათვის. ამ ერთი წლის მანძილზე სამი მოწინავე ახალგაზრდა მებოცვრე მივიღეთ სკკპ წევრობის კანდიდატად.

პარტჯგუფორგს აქვს საამაყო და სათქმელი: ჯგუფის კომუნისტები, მებოცვრეობის ფერმის ყველა მუშა ერთსულოვნად იღვწის საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკის ამაღლებისათვის. ქმაყოფილია პარტჯგუფორგი, ნაყოფიერი მუშაობისთვის ფერმა ახლახან მსუბუქი ავტომობილით — „მოსკვიჩით“ დაჯილდოვეს. ზემდგომი პარტიული ორგანოების ხელშეწყობა და დახმარება მუშაობში სტიმულს აძლევს კომუნისტებს, ხალისი და რწმენა ემატებათ.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ალმასკომში წერილი მოვიდა

ლება მშრომელთა მონაწილეობა სახელმწიფო მართვაში, მეტი ყურადღება ეთმობა მათს წერილებს, წინადადებებს, მოსაზრებებს.

რაისაბჭოს ალმასკომში დაწესებულია მოქალაქეთა მიღების დღე და საათი. მიღება ხდება წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული განრიგით და მონაწილეობენ პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები. განცხადება-საჩივრების შესწავლაში, განხილვასა და გადაწყვეტაში ფართოდ არიან ჩაბმული დეპუტატები, აქტივი. ალმასკომი პერიოდულად სწავლობს ადგილებზე მშრომელთა მიღების, აგრეთვე ცალკეულ საწარმო-დაწესებულებებში მშრომელთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრზე მუშაობის საკითხებს, სახავს მათი გაუმჯობესების ღონისძიებებს.

როგორია ამ მუშაობის ძირითადი შედეგები, მაჩვენებელი? დავასახელებთ რამდენიმე ციფრს. 1978 წელს რაისაბჭოს ალმასკომმა მიიღო მშრომელთა 858 წერილი. განცხადება და საჩივარი. ეს 188-ით ნაკლებია, ვიდრე 1977 წელს, ხოლო 1979 წლის პირველ ნახევარში გაცილებით ნაკლებია შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით. ასევე მცირდება პირად მიღებაზე მოსული მოქალაქეთა რიცხვი.

რაზე მიუთითებს ეს სტატისტიკა?

მცხეთის რაისაბჭოს ალმასკომი, სასოფლო საბჭოების ალმასკომები, ცალკეულ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები პრაქტიკულად ახორციელებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნებს, რომ დაუნდობლად ებრძოლოდ მუშაობაში გულგრილობას, ბიუროკრატიზმს, ფორმალიზმს, მშრომელი ადამიანის საჭიროებისადმი უსულგულო დამოკიდებულებას. ელემენტარული ამბავია, რომ, როცა ადგილებზე ყველა საკითხი გულდასმით განიხილება და ობიექტურად, სამართლიანად წყდება, მაშინ ზემდგომ ინსტანციებში აღარავინ არ მიდის.

— მოგვხვდეთ, ტალახში ვეფლობით, გზა არა გვაქვს, — ხმამაღლა ამბობდნენ სოფელ ჯიღაურის მკვიდრნი პარტიულ კრებებზე, სოფლის ყრილობებზე, სასოფლო საბჭოს სესიებზე. შემდეგ კოლექტიური წერილიც დაიწერა მცხეთის რაისაბჭოს ალმასკომის სახელზე. ჯიღაურელები არც იმას მალავდნენ, რომ საგურამოელები გზის პირებზე ათასგვარ ნაგავს ყრიდნენ და პირდაპირ აუტანელი იყო ამ ოღროჩოღროზე სიარული. მცხეთის რაისაბჭოს ალმასკომის სხდომაზე ცხარე სჯა-ბაასი გაიმართა.

— ჯიღაურელები გზას უჩივიან, ჩვენ კოლმეურნეობის პირუტყვისათვის თავშესაფარი სადგომი ვერ აგვიშენებია, — ამბობდნენ გალვანელი დეპუტატები.

— გზაზე თუ მიდგება საქმე, ჩვენი სოფელი უარეს მდგომარეობაშია, — აცხადებდნენ ცხვარიჭამიელები.

— ყურადღებით მოვუსმინოთ ერთმეორეს, — ამშვიდებდა დეპუტატებსა და მოწვეულ სტუმრებს ალმასკომის თავმჯდომარე თ. პეტრიაშვილი, თქვენ კარგად იცით, რომ სახელმწიფო ყველაფერს ერთბაშად ვერ გაიკეთებს. მაგრამ ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ მეათე ხუთწლედში სოფლის მეურნეობას ჩვენს ქვეყანაში ხმარდება 172 მილიარდი მანეთი, 41 მილიარდით მეტი, ვიდრე წინა მეცხრე ხუთწლედში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ დღეს უკვე ვახორციელებთ არა მარტო სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას, არამედ სოფლის კულტურული კეთილმოწყობის დიდ პროგრამასაც. ასე რომ პრობლემები, რომლებიც თქვენ გაწუხებთ, რეალურად გადაიჭრება.

ეს ლიტონი ადგილები როდი იყო. წელიწადი არ გასულა, რომ ჯიღაურასა და ცხვარიჭამიაში სასოფლო გზები გაკეთდა, მდინარეებზე ხიდები აიგო და სამარშრუტო ავტობუსები დაინიშნა.

ალმასკომში ზემდგომი ორგანოებიდან გამოიგზავნა ხელმოუწერელი წერილი, რომელშიც ქსოვრისელები სოფლის კეთილმოწყობას მოითხოვდნენ.

— „მართალია ამანო, რომლის შესახებაც სხვა ინსტანციაში შეიტანეს წერილი, — ამბობს ქსოვრისის საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარე კარლო ბერიძე, — შარშან დამთავრდა, მაგრამ ამუშავების დროს აღმოჩნდა დეფექტები: შესაცვლელი იყო ძრავები და საქვაბე მოწყობილობა, არ გვყავდა ცეცხლფარეში. ამან მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. დღეს ამანოში ყველა სამუშაო დამთავრებულია, არის ცეცხლფარეში და იგი უკვე ყოველ შაბათ-კვირაობით მუშაობს.

ამ საბჭოში შემავალი სოფლებიდან, კერძოდ, ვარდისუბნიდან რაიონული გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა წერილი სათაურით „ჩვენი გულსტკივილი“. მოსახლეობა სამართლიანად მოითხოვდა სავაჭრო ფარდულის, დაწყებითი სკოლის გახსნას, გზების შეკეთებასა და სასმელი წყლით მომარაგებას. ქსოვრისის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს ალმასკომმა იზრუნა ყველა ამ საკითხზე. სოფელ ვარდისუბანში პირველი სექტემბრიდან მუშაობას შეუდგა დაწყებითი სკოლა, გაიხსნა სავაჭრო ფარდული. რეგულარულად მიიღებს მოსახლეობა სასმელ წყალს, რადგან წყალსადენის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, სოფელში ერთ კილომეტრზე მოიხრეშა და მოსწორდა შიდა გზა.

შარშან წლის დამდეგს ალმასკომის სახელზე მოვიდა აეჭალის საკედლე მასალების სილიკატური ქარხნის მუშათა კოლექტიური წერილი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თაობაზე. ალმასკომის ხელმძღვანელობამ განიხილა განცხადება და მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც გათვალისწინებულ ღონისძიებათაგან რამდენიმე განხორციელებულია, მაგრამ ულიანოვის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები, რაც გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გასულ წელიწადნახევარში უნდა მოეგვარებინათ, დღესაც არ შესრულებულა.

საინტერესოა, რას ფიქრობს მცხეთის საქალაქო საბჭოს ალმასკომი და მისი თავმჯდომარე გ. ხუხუნეიშვილი? თუმცა მათ ზეპირ ფიქრობენ. ასე რომ, უახლოეს ხანში წარმატება უფრო მეტყველი გახდება. მთავარი ხომ მუშაობის ხელისშემშლელი ფაქტორის სწორად მოძებნაა, ისევე როგორც მედიცინაში დიაგნოზის ზუსტად დასმა. დანარჩენს ენთუზიაზმი და საქმის სიყვარული მიაღწევს.

კრებაზე ჩვეული პირუთვნელობით ითქვა ნაკლოვანებებზეც, მაგალითად, წლების მანძილზე კარგად მუშაობდა კომუნისტი ჰესის დასახლების მოუწყობლობასთან ერთად ისიც უნდა აწუხებდეთ, რომ სვეტიცხოვლის სამრეკლოს ზარები დაპობილი შეშით შეკრულ ჯინჯიხებზეა ჩამოკიდებული. საგულისხმოა, რომ ამას მშვიდად შესცქერის ქალაქ მცხეთის მთავარი არქიტექტორი გ. ცნობილაძე და სულ იმის მოლოდინშია, იქნებ სახელმწიფო სახსრები გამოუყონ.

გავიხსენოთ კიდევ ერთი კოლექტიური წერილი. ეს არის მუხრანის მშრომელთა ბარათი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მათი საჩივრებისაგან ალბათ ტომები აიკინძება. მუხრანელთა გულისტკივილი ის არის, რომ ბოლო წლებში შესამჩნევად ამოიწია გრუნტის წყლებმა, და საშინლად დაეჯობა საკარმიდამო ნეკვეთები. წყალი ამოვიდა საცხოვრებელი სახლების პირველ სართულებზე. რაისაბჭოს ალმასკომმა გაითვალისწინა შექმნილი მდგომარეობა, დასახა ღონისძიებანი, რათა ჭაბურღილების, ღია და დახურული დრენაჟების მოწყობით უზრუნველყოთ წყლის ერთად შეკრება, მისი გამოყენება სარწყავად და სასმელადაც. ამ სამუშაოების შესრულება დავალებული აქვს „საქმთავარწყალშენს“ (ტრესტის მმართველი — ა. მუსერიძე). მაგრამ რა გამოვიდა აქედან? წლები მიდის, და მუხრანის მიწისქვეშა წყალსარინი არხების სისტემის პროექტიც კი ჯერ არ არის მზად. არის გაუთავებელი მიმოწერა, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის. იმასაც ვიტყოდით, რომ მეტი აქტიურობა, პრინციპულობა და შემართება მართებთ მცხეთის რაისაბჭოს ალმასკომს, დეპუტატებს, აქტივს.

ძალისის საბჭოთა მეურნეობის ლაბორანტმა ლ. ვალიშვილმა საჩივრით მიმართა როგორც ალმასკომს, ისე პარტიის მცხეთის რაკომს, სადაც აღნიშნავდა, რომ პირადი ინტერესით მეურნეობის დირექციამ იგი შტატის შემცირების მოტივით გაათავისუფლა სამუშაოდან. საჩივარი განიხილა პარტიის მცხეთის რაკომმა და ლ. ვალიშვილი აღადგინა სამუშაოზე, ხოლო მეურნეობის დირექტორს შ. სიბაშვილს, რომელსაც სხვა დარღვევებიც ჰქონდა, გამოუცხადა სასტიკი საყვედური საარრიცხვო ბარათში შეტანით. ყველაფერი გაირკვა, რაკომმა და ალმასკომმა სიმართლე აღადგინეს.

მშრომელთა წერილებსა და საჩივრებზე მცხეთის რაისაბჭოს ალმასკომის მუშაობის მიზანი ის არის, რომ რაც შეიძლება შემცირდეს მათი რაოდენობა, არავინ არ დარჩეს უკმაყოფილო. მიუხედავად ამისა, ანალიზი ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ არის მშრომელთა განცხადებებისა და წინადადებისადმი ზერელე დამოკიდებულების ფაქტები. ზოგჯერ საჩივრებისა და განცხადებების განხილვა ჭიანურდება, არის მათზე პასუხის დაგვიანებით გაცემის შემთხვევები. ყოველივე ამის გამო იმატა რაიონიდან ზემდგომ ორგანოებში განცხადებათა რიცხვმა. შარშანდელთან შედარებით 62-ით მეტია გაგზავნილი. ეს პატარა ციფრი როდია!

საეჭოდ მიგვაჩნია, მცხეთის რაისაბჭოს ალმასკომმა უფრო ქმედითი ღონისძიებები განახორციელოს განყოფილებების, სამმართველოების, საქალაქო და სასოფლო საბჭოების ალმასკომების და საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის შემდგომი ამაღლებისათვის, მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობის მეთოდებისა და სტილის სრულყოფისათვის!

ხ. არჩემაშვილი.

მოწინავე მესიმინდე

ამ დღეებში გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში იღებენ სიმინდის მოსავალს, ამზადებენ მწვანე სასილოსე მასას. ჰექტარზე კოლმეურნეობა 35-40 ცენტნერ სიმინდის მარცვალს იღებს.

შესანიშნავ წარმატებას მიაღწია კოლმეურნეობის წარჩინებულმა მესიმინდემ, შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენების კავალერმა კომუნისტმა გიორგი მოსიძემ. მან თითოეულ ჰექტარზე 150 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოიწია.

სურათებზე: ზემოთ — მოწინავე მესიმინდე გიორგი მოსიძე; ქვემოთ — ამზადებენ სასილოსე მასას.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ავამაღლოთ მშენებლობის ეფექტიანობა

კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლებას ეძღვნება „დაგეგმვის გაუმჯობესების, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილების მეორე ნაწილი. აქ „კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის დარგში დაგროვილ მდიდარი გამოცდილების საფუძველზე წარმოდგენილია იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დაჩქარებასა და კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის ამაღლებას ითვალისწინებს.

საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების დაჩქარებისა და კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემის გადაწყვეტის საქმეში ამქამად უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეულია მოქმედი საწარმოების ტექნიკური გარდაქმნა და რეკონსტრუქცია. ამასთან დაკავშირებით ახალ დადგენილებაში ნათლად არის გამოკვეთილი პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ძირითადი თავისებურებანი. იგი გულისხმობს, რომ როგორც მიმდინარე, ისე მომდევნო ხუთწლედებში სახალხო მეურნეობის დაპროექტებული მაჩვენებლები უნდა შესრულდეს კაპიტალდაბანდებათა ზრდის რაც შეიძლება ნაკლები ტემპით. როგორც ცნობილია, მიმდინარე ხუთწლედის კაპიტალდაბანდებათა საგეგმო დავალება აქვს — ზოგი აგიტატორია, პოლიტინფორმატორი, ზოგიც კომკავშირელებს ეხმარება, კედლის გაზეთს უშვებს...

— უფროსების მაგალითით იზრდებიან ახალგაზრდები, — თქვა კომუნისტმა ვლადიმერ ნასუაშვილმა, — პარტჯგუფი ზრუნავს თავისი წევრების პოლიტიკური სიმწიფისათვის. ამ ერთი წლის მანძილზე სამი მოწინავე ახალგაზრდა მებოცვრე მივიღეთ სკკპ წევრობის კანდიდატად.

პარტჯგუფორგს აქვს საამაყო და სათქმელი: ჯგუფის კომუნისტები, მებოცვრეობის ფერმის ყველა მუშა ერთსულოვნად იღვწის საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკის ამაღლებისათვის. ქმაყოფილია პარტჯგუფორგი, ნაყოფიერი მუშაობისთვის ფერმა ახლახან მსუბუქი ავტომობილით — „მოსკვიჩით“ დაჯილდოვეს. ზემდგომი პარტიული ორგანოების ხელშეწყობა და დახმარება მუშაობში სტიმულს აძლევს კომუნისტებს, ხალისი და რწმენა ემატებათ.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სრულიად საქართველოს საქმეურნეო ... ...

ეკონომიკა

ეკონომიკა

**ეკონომიკა

საერთაშორისო ცხოვრება
დღევანდელი ჟურნალი

შესრულდა ოსური ლიტერატურის კლასიკოსის კოსტა ხეთაგუროვის დაბადების 120-ე წლისთავი. ეს თარიღი ფართოდ აღინიშნება მთელ ჩვენს ქვეყანაში. დღეს, 12 ოქტომბერს, საიუბილო-საზეიმო საღამოები გაიმართება ცხინვალსა და ორჯონიკიძეში, შემდეგ ოსური კულტურის დიდი წარმომადგენლის საიუბილეო ზეიმი მოეწყობა ქ. მოსკოვში, ხოლო მისი საბოლოო აკორდი იქნება დიდი საიუბილეო-საზეიმო საღამო, რომელიც ქ. თბილისში გაიმართება.

გაბედული ოსი მამულიშვილი

კოსტა ხეთაგუროვი პოეზია თავისი იდეური სიღრმით, ცხოვრებაში წვდომის მასშტაბით, ეროვნული კულტურის შემდგომ განვითარებაზე გავლენის ძალით—სწორუპოვარი, ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენაა ჩვენი ხალხის სულიერ მატიანეში.

პოეტის საზოგადო მოღვაწეობა, რომელსაც ახასიათებდა უჭკნობი რევოლუციური მგზნებარება, ხალხის ინტერესებისადმი ერთგული სამსახური, აზროვნების სიღრმე და სიცხადე, გამჭრიახობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაციისა და ხალხის მომავლის, განთავისუფლებისთვის მისი საუკეთესო ბრძოლის პერსპექტივების განჭვრეტისათვის, ასევე ერთადერთი ფენომენია ჩვენი კულტურისა და ჩვენი ხალხის ისტორიაში.

ხეთაგუროვამდე ოსი ხალხი საუკუნეთა მანძილზე ქმნიდა დიდებულ ჰეროიკულ სიმღერებს თავის ქომაგებზე, რასტროდა თავის ჭირ-ვარამსა და უბედურებას. უაღრესად ემოციურ და ხატოვან ფოლკლორულ ნაწარმოებებში, ქმნიდა ვრცელი ზღაპრის ეპოსს, აგრეთვე დიდი მხატვრული ღირებულების მუსიკალური კულტურის ძეგლებს, მაგრამ წამყვანი პოეტი არ ჰყოლია. კოსტა ხეთაგუროვამდე ცალკეულ ნიჭიერ მოღვაწეთა ცდებს შედეგად არ მოჰყოლია ეროვნული ლიტერატურული ტრადიციის შექმნა.

ადგურ უკვე 2.000 წელია ოსები ცენტრალური კავკასიონის მთებსა და მთისწინეთში ცხოვრობენ. აქ ისინი თვიანთ მეზობლებთან, ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ხალხებთან, უწინარეს ყოვლისა, ქართველ ხალხთან მჭიდრო ურთიერთობით ქმიდნენ თავიანთ საზოგადოებას, თავიანთ კულტურას, სახელმწიფოებრიობას.

კ. ხეთაგუროვს დიდ პროგრესულ ნაბიჯად მიაჩნია ოსეთის შეერთება რუსეთთან, ანდა პოტენციალ: რუსი, ქართველი და ქვეყნის სხვა მოძმე ხალხებს დახმარებით ვითარდება ოსეთის ეკონომიკა და ეროვნული კულტურა.

განუზომლად დიდია კოსტა ხეთაგუროვის ღვაწლი თავისი ხალხის წინაშე. მართლაც, რომ ფილოსოფოსის ყოვლისმომცველი აზროვნება, ხალხის თავდადებული მსახურის გარჯა, რევოლუციონერის გამბედაობა და პატრიოტის უსაზღვრო მგზნებარება მართებდა კაცს, რომელმაც მტკიცე იდეურ-ესთეტიკური საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ ლიტერატურას, შექმნა უბადლო მხატვრული სახეები, ოსტატურად დაამუშავა საერთო-სახალხო ენა. ამ გმირობისაკენ პოეტი მიდიოდა ბრძოლას, რუსული კლასიკური ლიტერატურის დიდ მოამაგეთა და მოწინავე საზოგადოებრივი აზრის, აგრეთვე ოსური ხალხური პოეზიის უსახელო შემოქმედთა მრავალსუკუნოვანი მხატვრული გამოცდილების შესწავლის გზით. კოსტა ხეთაგუროვი დღესაც გვევლინება არა მარტო ჩვენი ეროვნული ენის, არამედ აგრეთვე ჩვენი ხალხის მხატვრული შემოქმედების, ყოფისა და ფსიქოლოგიის უდიდეს მცოდნეად, მისი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და მსოფლმხედველობის ყველაზე ავტორიტეტულ სპეციალისტად. მის შემოქმედებაში ჩვენ ვხედავთ ენისა და ხალხური ფსიქოლოგიის შინაგან შესაძლებლობათა სწორუპოვარი პოეტური ინტუიციური წვდომის მაგალითებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საკაცობრიო ცოდნის ყველა დარგში თავისი ფართო განსწავლულობით, პოეტური ოსტატობით კოსტა ხეთაგუროვი ბევრს უნდა უმადლოდეს რუსულ კულტურას. მომავალმა პოეტმა განათლება მიიღო სტავროპოლის გიმნაზიაში, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო იმდროინდელ რუსეთში, შემდეგ კი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, რევოლუციურად განწყობილ რუს ახალგაზრდათა წრეში. კულტურისა და რევოლუციური შეგნების მწვერვალისაკენ მიმავალ გზაზე იგი ეყრდნობოდა რუსული მხატვრული, მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების მიღწევებს.

სწორედ სიჭაბუკის წლებში მწიფდება მისი მხატვრული ნიჭი, ყალიბდება რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებანი, იწრთობა ხალხის ბედნიერებისათვის მტკიცე მებრძოლის ხასიათი. კ. ხეთაგუროვი აყენებს და წყვეტს სრულიად რუსეთის მასშტაბის საკითხებს.

სამყაროს რევოლუციური გაანახლების აუცილებლობა და შესაძლებლობა, ხალხი და ინტელიგენცია, ადამიანის სიცოცხლის აზრი, ბელადისა და ინტელიგენციის როლი, ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში — აი, არასრული ნუსხა იმ ძირითადი პრობლემებისა, რომლებიც ჭაბუკს აფიქრებდა.

ამავე წლებში კ. ხეთაგუროვი ღრმად სწავლობდა პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის პოეტურ მემკვიდრეობას, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის რევოლუციურ ესთეტიკას.

კ. ხეთაგუროვს მფსდგამდა უაღრესად ძლიერი, თავისთავადი ბუნებრივი პოეტური ნიჭი. პოეტმა განავითარა ოსური ლექსი, ახალი ჟანრები და ფორმები შემატა ოსურ პოეზიას. მთელი ჩვენი თანამედროვე ლიტერატურა — ეს არის ყლორტები, რომლებიც კოსტა ხეთაგუროვის პოეზიის ძალუმ ფესვებზე აღმოცენდა.

რუსეთში თხუთმეტ წელიწადს ყოფნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა პოეტმა სრულად შეიგრძნო და გაიზიარა მშობელი ხალხის ვაება და ჭირ-ვარამი. კოსტა ხეთაგუროვის ამ პერიოდის ფიქრები და განცდები გამოხატულია ლექსში „შეხედე“, სადაც დიდი პოეტური ძალით არის ნაჩვენები ბედკრული ხალხის ტანჯვა-ვაება.

ხალხს წაართვეს არა მარტო მიწა, არამედ ავრეთვე მისი ღატაკური სოციალური და ეროვნული უფლებებიც, წერს პოეტი. ხალხისათვის მიწისა და თავისუფლების დაბრუნებას მხოლოდ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ძლევამოსილი ბრძოლა შეძლებს, ხაზს უსვამს კოსტა ხეთაგუროვი. ერთადერთ ძალად, რომელსაც შეეძლო შეემუსრა თვითმპყრობელობა და აეშენებინა „თავისუფლებისა და სიყვარულის საყოველთაო ტაძარი“.

პოეტს ჩინებულად ესმოდა, რომ ცარიზმის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მთელი სისტემის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლისათვის ხალხის იდეურ მზადებაში დიდი როლი უნდა შეესრულებინათ განათლებისა და ხალხის ინტერესების ერთგულ განმანათლებლებს. მაგრამ კოსტა ხეთაგუროვი როდი იტყუებდა თავს იმ იმედით, რომ ხალხს სოციალური ბოროტებისაგან იხსნიდა იმ ადამიანთა განათლება, რომლებსაც „სწადათ და სჯეროდათ სოციალური წყობილების გამოსწორება“. კ. ხეთაგუროვი თვლიდა, და სამართლიანადაც, რომ თვითმპყრობელობის გამოსწორება არ შეიძლება, იგი უნდა დაანგრიო. ამისათვის კი, პოეტის აზრით, საჭირო იყო „სისხლი სისხლის წილ“, „წინააღმდეგობა ძალადობისათვის“.

თავისუფლების მოყვარულ და თავისუფლებისათვის მებრძოლ კ. ხეთაგუროვს სდევნიდნენ, იგი ორჯერ გაასახლეს მშობლიური მიწა-წყლიდან. 1900 წლის მარტში პოეტი სამშობლოში მძიმედ დასნეულებული, მარტოდ დარჩენილი, დაჭანცული დაბრუნდა, მაგრამ იგი კვლავ ერთგულად ემსახურებოდა თავის ხალხს, მთელი კავკასიის ხალხებს.

კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედება ღრმად ინტერნაციონალურია. მის პირად მეგობრებს შორის იყვნენ არა მარტო ოსები, არამედ აგრეთვე რუსები, ქართველები, სომხები, უკრაინელები, ჩაჩნები, ინგუშები, ყაბარდოელები, მალყარები, ებრაელები, დაღესტნელები... მან შესანიშნავი ლექსები უძღვნა პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის, ოსტროვსკის, ჩაიკოვსკის, პლეშჩეევის, მიხეილ ყიფიანის, ისლამ კრიმშამხოლოვისა და სხვათა ხსოვნას. კოსტა ხეთაგუროვი დიდ პატივს სცემდა ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს.

კოსტა ხეთაგუროვი ერთი იმათთაგანი იყო, ვინც პირველმა უმღერა ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიად მეგობრობას, ძმობას, წლითიწლობით რომ მტკიცდება და ვითარდება.

აი, რატომ არის, რომ ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხები ესოდენ დიდ პატივს სცემენ კოსტა ხეთაგუროვის ხსოვნას.

აღნიშნავს რა კ. ხეთაგუროვის დაბადების 120-ე წლისთავს, ოსი ხალხი ამაყობს თავისი დიდი პოეტით და განაგრძობს მის ტრადიციებს, ავითარებს ფორმით ეროვნულ და შინაარსით სოციალისტურ კულტურას.

ამ დღეებში ოსი ხალხი გულწრფელ მადლიერებას უძღვნის ქვეყნის ყველა მომბე ხალხებს ოსური ლიტერატურის დიდი კლასიკოსის იუბილეს დღესასწაულობაში აქტიურ მონაწილეობისათვის. ეს მონაწილეობა და თანადგომა მიაჩნიათ ხალხთა ურღვევი მეგობრობის გამოხატულებად, კომუნისტური პარტიის ზრუნვად საბჭოთის ყველა ხალხთა კულტურის აყვავებისათვის.

ფ. სანაკოევი,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი (საქინფორმი).

□

სურათზე: კოსტა ხეთაგუროვის ძეგლი ქ. ცხინვალში.
ლ. გუსოვის ფოტო.

ახალი თარგმანები

კოსტა ხეთაგუროვი

ანდერძი

მაპატიე, ეს სიმღერა
თუ ჰგავს მოთქმით ტირილს,
ვისაც გულით ემღერება
ის თავის გზით ივლის.

რომ ვიცოდე მამულის გულს
დავედები წამლად,
მაშინ აღარ ვიმღერებდი
ასე სევდიანად.

გაზაფხული

თოვლი დნება და ყინული
ლღვება, აჭრელდა მინაო,
აჭრელდა მთა და მინდორი
ცა ნვიმად ჩამოიქცაო.

ტყე გაიფოთლა, ხნულები
ტბორებში ჩაიძირაო,
ბიჭმა პეპელას მისდია,
პეპელა დაიჭირაო.

აგრემც დედაშენს დაურჩი,
ყვავილთ ნუ დასწყვეტ
გულსაო,
ბიჭო, პეპელა გაუშვი,
გაფიცებ გაზაფხულსაო.

ვიცი

მიმაბარებთ მიწას,
დამიტირებთ ხათრით...
„შეუნდოსო“, იტყვით
ჩემი მისამართით,

ალბათ რამეს დაკლავთ,
ზურგს შეაქცევთ მარხვას,
გაძღებით და ჯამში
ჩემს ლანდს დაინახავთ.

ერთ დღეს ცრემლით ივლით,
მერე, ვიცი სწრაფად
გადაუვლის თრიმლი
მიტოვებულ საფლავს.

ლაშქრული

ხელი ხელს მივცეთ, ძმებო,
და სამართალი ვეძებნოთ.

მოვქსოვოთ ჩვენი დროშა,
ვიპოვოთ ჩვენი გმირი.
სინათლისაკენ ხალხნო —
ერთი გულით და პირით.

სიმართლე ვეძებნოთ გზა-გზა,
დავგმოთ ძველი რაც დავგმეთ,
ჰაიტ, მშიშარავ, მარძა,
აქედან დაიკარგე.

ახალი წლის ღამეს

ნეტავი თქვენი ზღურბლიდან
შემომამღერა შინაო,
თავს განაცვლებდი მასპინძელს
დამდგარსა სტუმრის წინაო.

თამამად გამოხვიდოდე,
გამისწორებდე თვალსაო,
გვერდულ შეგხედო
მზისთვალო —
იქეთ დაგდებდე ვალსაო.

სულ ახლო, გულმინდობითა,
თავი მკერდს მომიზიდანო,
ჩაგღიმებოდეს, და გეთქვას —
ვინ ხარ, მოსულხარ სიდანო.

შენს ხელსაც შევეხებოდე,
გვერდიდან ვერ მომიცილო,
ვის თავზე მეტად უყვარხარ
ისა ვარ ჩემო მზისნილო.

სიმღერა

მასპინძელო, მასპინძელო,
მგზავრებს გზა არ
გაგვიგრძელო,
პურმარილი დაგვიყარე
და შენს კოშკში აგვიყვანე.

მასპინძელო, მასპინძელო,
შენ იცოცხლე ასი ნელი,
სუნთქვა მოგვაქვს ახალი
წლის —
ვით დაგლოცო, აღარ ვიცი.

ბარაქა და ხვავი შენა,
ირმის კვლაში მკლავი შენა,
შენმა ქალმა ბიჭი შობოს,
მიეხმაროს ქვრივს და ობოლს.

მივყვე შენი ლხინის ექოს,
მეც ბასილის ხელი მერგოს,
ახალ დღეებს დაგილოცავ,
ღმერთმა მეტი დღენი მოგცა.

მასპინძელო, მასპინძელო,
საახალწლოდ სიბრძნე ჰქმენი,
და აკეთე ადრინდელზე
უფრო მეტი სიკეთენი.

თარგმანი
ჯანსულ ჩარკვიანისა.

კორტუგალია

კომპარტია არჩევნების წინ

ლისაბონი, 11 ოქტომბერი. აქ გაიმართა პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც შეაჯამეს პორტუგალიის კომპარტიის საერთო-ეროვნული კონფერენციისათვის მზადების მუშაობის შედეგები. იგი გაიმართება 14 ოქტომბერს იმ მიზნით, რომ „განსაზღვროს კომპარტიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი რესპუბლიკის კრების მომავალ ვადამდელ არჩევნებთან და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით“.

პლენუმზე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა პარლამენტში შეინარჩუნონ დემოკრატიული უმრავლესობა.

პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მომავალ არჩევნებს უწოდა „დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ბრძოლა თავისუფლების, დემოკრატიული რეჟიმისა და რევოლუციური მონაპოვრების დაცვისათვის“.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

11 ოქტომბერი

რომი. საბი საათით გაჩერდა კონვეიერები იტალიის უდიდესი საავტომობილო კომპანიის — ფიატის ყველა საწარმოში. ფიატის მუშები აბრძვიან ადმინისტრაციის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომ დაითხოვოს 60 მუშა. მშრომელთა დათხოვნა, ხაზგასმით აღნიშნავს იტალიის კომუნისტური პარტიის ორგანო გაზეთი „უნიტა“, აშკარა შანტაჟია იმ მიზნით, რომ დააშინონ პროფკავშირები, უარი თქმევინონ მუშებს თავიანთი უფლებების დაცვისათვის ბრძოლაზე.

□ □

დამასკო. ისრაელის საოკუპაციო ხელისუფლებამ თვითნებობის ახალი აქტი ჩაიდინეს გოლანის მაღლობებზე მდებარე არაბული სოფლების მაჯალ შამსისა და მასადის მცხოვრებთა მიმართ. ტელ-ავივის ექსპანსიონისტური პოლიტიკისა და ოკუპაციის წინააღმდეგ ფელახების პროტესტს ისრაელის ხელისუფლებამ ტერორითა და თარეშით უპასუხა. სოფელში შეეჭრნენ ჯარისკაცებმა მხეცურად სცემეს არაბ მცხოვრებლებს, მათ შორის ქალებს, მოხუცებსა და ბავშვებს, გაჩხრიკეს და დაარბიეს მათი სახლები. როგორც სანას საგენტო იუწყება, დაპატიმრებულია რამდენიმე კაცი.

□ □

ლუანდა. ასობით ბავშვი, ქალი და მოხუცი ემსხვერპლა სამხრეთ აფრიკის ავიაციის ამასწინანდელ ბარბაროსულ რეიდს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, ეს განაცხადა საფრანგეთის ელჩმა ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში ჟ. პოზიემ, რომელიც დიპლომატთა ჯგუფთან ერთად ეწვია უილის პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრს ლუბანგუს. მოლიანად დაინგრა ნამბიელი ლტოლვილების სატრანზიტო ბანაკი, ქალაქის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, მათ შორის საფქვავი ფაბრიკა. ამის შედეგად პროვინციაში გაძნელდა მოსახლეობის პურით მომარაგება. ის, რაც ჩვენ ადგილზე ვნახეთ, თქვა ელჩმა, აშკარავებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალთა სიცრუეს, რომლებმაც განაცხადეს, არავითარი თავდასხმა არ ყოფილაო.

□ □

ნიუ-იორკი. უმუშევრობის დონემ კანადაში ამა წლის სექტემბერში 7,1 პროცენტი შეადგინა. როგორც გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ აღნიშნავს, მოსახლეობის დასაქმების მდგომარეობა ქვეყანაში დაწყებული მორიგი დაქვეითების ზეგავლენით გაუარესდება. კანადის მთავრობის პროგნოზით, წლის ბოლომდე უმუშევართა რაოდენობა ქვეყნის მუშახელის 8 პროცენტს მიაღწევს.

ბოლივია

ბრძოლა ბანკებზე

ლა პასი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). ბოლივიის ეროვნული ბანკის ადგილობრივ ორგანოებზე ბრძოლა ბანკებზე

ᲙᲮᲐᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘ

ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ. თვალსაჩინო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ქართველ რევოლუციონერ-დემოკრატთა ერთ-ერთი აღიარებული ლიდერის ნიკო ნიკოლაძის ხსოვნის დღე — „ნიკობა“ აღინიშნა მის მშობლიურ სოფელ დიდ ჯიხაიშში, სადაც შეიკრიბნენ სამტრედიისა და მეზობელი რაიონების მშრომელები, თბილისის, ქუთაისის, ფოთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში გაიმართა მიტინგი. დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგემ ა. ქუთათელაძემ ილაპარაკა მშობლიური ქვეყნისა და ხალხის წინაშე მწერლის დამსახურებაზე. მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე დიდი ჯიხაიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ანდრიაძე, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი თ. ჭილაძე, ჟურნალ „მნათობის“ რედაქციის განყოფილების გამგე გ. სანადირაძე, ახალგაზრდობის წარმომადგენლები. ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილმა ნიკოლოზ ნიკოლაძემ მუზეუმს საჩუქრად გადასცა თავისი პაპის მემორიალური ნივთები. (საქინფორმი).

ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘ. აქ მესტიის რაიონის სოფელ უშგულთან იღებს სათავეს ენგური.

ა. ჩარკვიანის ფოტოეტიუდი (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲝᲫᲘᲡᲝᲑᲐ

ᲥᲣᲜᲘᲡ ხეობის ისტორიულ სოფელ ოძისში გაიმართა ტრადიციული სახალხო დღესასწაული — ოძისობა, რომელიც გამოჩენილ ქართველ დრამატურგებს, ამ სოფლის მკვიდრთ გიორგი და დავით ერისთავებს ეძღვნება.

ერისთავების სახლ-მუზეუმის ეზოში, უზარმაზარი მუხის ქვეშ გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ჰ. კერესელიძემ. სიტყვა წარმოთქვეს პროფესორმა ს. ხუციშვილმა, რეჟისორმა ვ. გიჟიმყრელმა, მწერლებმა ვ. გორგანელმა, ე. უბილავამ, კ. კობერიძემ, მ. ავსაჯანიშვილმა, დამსახურებულმა მასწავლებელმა ვ. კასრაძემ, ოძისის საშუალო სკოლის მოსწავლემ შ. კორაშვილმა, მხცოვანმა კოლმეურნემ ნ. ღუნაშვილმა.

მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობდნენ თბილისის თეატრებისა და საქართველოს ფილარმონიის მსახიობი, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები. გვიან საღამომდე გრძელდებოდა სიმღერა, ცეკვა-თამაში, ჰიდაობა და სახალხო გართობა („კომუნისტის“ კორ.).

„ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ“ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

„ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ“ — ასე ეწოდება ახალ კინოთეატრს, რომელიც ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლაში გაიხსნა ნორჩი მოქალაქეებისათვის. საინტერესოა, რომ მისი მთელი მომსახურე პერსონალი — კინომექანიკოსები, მოლარეები, კონტროლიორები — მოსწავლეები არიან.

მაყურებელთა დარბაზი 200 ბავშვს იტევს.

ᲧᲕᲐᲕᲘᲐᲜ ᲢᲘᲢᲤᲔᲑᲘ

ᲠᲐᲕᲐ წლის გულმოდგინე, მუყაითი შრომა დასჭირდა თბილისის ბოტანიკური ბაღის მეცნიერ მუშაკს ლამარა ასეიშვილს ტიტას აკლიმატიზაციისათვის, იმისათვის, რომ ეს ნაზი ყვავილი — სიხარულისა და ბედნიერების სიმბოლო — ყველგან ხარობდეს ჩვენს რესპუბლიკაში, გახანგრძლივდეს მისი ყვავილობის პერიოდი. გამოკვლევები მოეწყო სხვადასხვა ქლიმატურ პირობებში, სხვადასხვა სიმაღლეზე. მეცნიერის იმედი გამართლდა. ამჟამად ბოტანიკური ბაღის საყრდენ ტუნქტებში ტიტას ბოლქვებს რგავენ. გაზაფხულზე, როცა ღერობი გაიზრდება, და გამაგრდება, მათ იმ ნიადაგში გადარგავენ, სადაც სამუდამოდ დარჩებიან.

მეცნიერი კვლავ სრულყოფს ტიტას მოყვანის მეთოდებს, რათა ფართოდ გამოიყენონ იგი სამრეწველო მეყვავილეობასა და ქალაქების გამწვანებაში. — ამ შესანიშნავი დეკორატიული მცენარის განვითარებისათვის, — თქვა მან, — ფართოდ ვუზიარებთ გამოცდილებას ბოტანიკოსებს, მათ შორის ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჰოლანდიის მეცნიერებს. ჯერჯერობით ახალი ჯიშების ტიტა და ვცდილობთ ადგილობრივ პიროებს შევუგუოთ იგი.

საინტერესოა ტიტას ისტორია. მის შესახებ პირველი ცნობები ევროპაში მეთვრამეტე საუკუნის 50-იან წლებში გაჩნდა. ამ დროს თურქეთის სულთნის კარზე მყოფ ავსტრიის იმპერატორის ელჩს ვენაში შეუტყობინებია კონსტანტინოპოლისა და ყირიმის ბაღებს ულამაზესი ყვავილი ამშვენებსო. ტიტას პირველი ბოლქვები მაშინვე გაიგზავნა დასავლეთ ევროპაში, სადაც იგი სწრაფად გავრცელდა. ნახევარი საუკუნის შემდეგ უკვე ამ ყვავილის 140 ნაირსახეობა არსებობდა. ნიდერლანდი ის ქვეყანა გახდა, სადაც ალმოსავლეთის ნაზმა ყვავილმა მეორე სამშობლო პოვა. განახლებული და შეცვლილი, ახლა უკვე ჰოლანდიური ტიტა ნიდერლანდიდან იგზავნებოდა. იგი ჰოლანდიური ექსპორტის მონოპოლიური საქონელი გახდა.

— ბევრმა არც კი იცის, — თქვა ლამარა ასეიშვილმა, — რომ 10 წლის წინათ ჰოლანდიიდან საქართველოში ჩამოტანილ ტიტას „ძარღვებში“ ჩვენი ქართული ტიტას „სისხლი ჩქეფს“, „გრეიგის“, „ოფმანის“ „ფოსტერიანის“ სახეობათა ტიტებს, რომლებიც, პეტერბურგის ბოტანიკური ბაღის 1882 წლის კატალოგშია აღწერილი, თავის დროზე დაუინტერესებია ჰოლანდიელი მეყვავილეები საოცარი სილამაზითა და ვირუსული დაავადებებისადმი მედეგობით. ამ და შუაუაზიური ტიტას საფუძველზე ჰოლანდიელებმა ხუთი ათასამდე კლასიკური ჯიშის ტიტა გამოიყვანეს.

(საქინფორმის კორ.).

ᲡᲐᲛᲘᲗᲘᲐᲜᲗᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲖᲔ

ᲠᲘᲒᲐᲨᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ გრძელდება მოჭიდრაკე ქალთა და ვაჟთა მსოფლიო პირველობების საზონათშორისო ტურნირები.

ასეთი რანგის ტურნირების ისტორიაში ვერ მოძებნით ისეთ შემთხვევას, რომ რომელიმე მონაწილეს ზედიზედ 10 პარტია მოეგოს. ახლა კი ამის პრეცედენტი არის: ქალთა ტურნირში ნანა იოსელიანაშვა 10 შესაძლებლიდან 10 ქულა დააგროვა! (ცხადია, იგი ლიდერია. უფრო ნათელი რომ იყოს, იოსელიანს თორმეტი ტურის შემდეგ 10 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ხოლო ერთ-ერთ ტურში თამაშიდან თავისუფალი იყო. მომდევნო ადგილებზე არიან: ციცა ვერეული (უნგრეთი) — 8,5 ქულა, ნანა ალექსანდრია — 7,5 (2), მილუნკა ლაზარეიჩი (იუგოსლავია) — 7,5 (1), ელისაბედ პოლიჭრონიადე (რუმინეთი) — 6,5 (2), ვალენტინა კოზლოვსკაია — 6 (2), ტატიანა ზატულოვსკაია — 5,5 (2). ასპარეზობის დამთავრებამდე დარჩა 4 ტური. ესპანეთში (ციტა ხანიც და ესპანეთში (20 ოქტომბერს) დაიწყება ქალთა მეორე საზონათშორისო ასპარეზობა, რომელშიც საქართველოდან მონაწილეობას მიიღებს ნინო გურიელი. იგი თავის მწვრთნელ ბ. გურგენიძესთან ერთად უკვე მოსკოვს გაემგზავრა და იქიდან ესპანეთისაკენ აიღებს გზას.

რიო-დე-ჟანეიროს ვაჟთა ტურნირში კი მეცამეტე ტურის შემდეგ ორი ლიდერია: ლაიოშ პორტაში (უნგრეთი) და რობერტ ჰიუბნერი (გფრ) — 8-8 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან ყაიმ სუნინი (ბრაზილია) — 7,5 ქულა, რაფაელ ვაპანიანი — 7 (1), ტიგრან პეტროსიანი და დიეულა საქმი (უნგრეთი) — 7-7 ქულა. პეტროსიანმა მორიგ ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა დრაგოლუბ ველიმიროვიჩთან (იუგოსლავია), ვაპანიანმა პარტია გადადო ბორისლავ იცკოვთან (იუგოსლავია), იური ბალაშოვმა — ლუის ბრონშტეინთან (არგენტინა). ბალაშოვს 5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. ვაჟებსაც 4 ტური დარჩათ სათამაშო.

ᲡᲐᲓ, ᲠᲐ, ᲠᲝᲓᲘᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ

ᲤᲠᲔᲜᲒᲣᲠᲗᲘ. პარიზსა და ლიონში დაიწყო ევროპის XI ჩემპიონატის ფინალური ტურნირები. პარიზში ვაჟები ასპარეზობენ, ლიონში კი ქალები. სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა გადამწყვეტი ეტაპის სტარტზე დაამარცხა მონრეალის ოლიმპიადაში გამარჯვებული პოლონეთის გუნდი ანგარიშით 3:0, ჩვენმა ქალთა ნაკრებმა კი ერთობ ძნელ ბრძოლაში მოუგო ბულგარეთის კოლექტივს — 3:2. პირველი ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: **ვაჟები.** საფრანგეთი—იტალია 3:1, იუგოსლავია — ჩეხოსლოვაკია 3:1; **ქალები.** უნგრეთი—რუმინეთი 3:0, გდრ — ჰოლანდია 3:0.

ᲕᲔᲚᲝᲜᲐᲠᲢᲘ. არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში გრძელდება იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი. სსრ კავშირის ნაკრებმა (ს. სტაროდუბცევი, ვ. დემიდენკო, ვ. ვოლოშინი და ს. შპაკი) გაიმარჯვა საგზატკეცილო გუნდური რბოლაში.

ᲤᲘᲖᲘᲣᲠᲘ ᲪᲘᲒᲣᲠᲐᲝᲑᲐ. ლონდონში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი. წყვილთა სრიალში ლენინგრადელებმა ნელი ჩერვოტკინმა და ვიქტორ ტესლიამ პირველობა დაიპაყრეს. ლენინგრადელი იგორ ბობრინი ერთეულთა ასპარეზობაში მეორე იყო.

ᲕᲐᲨᲘ. ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში გრძელდება მატჩი მსოფლიო პირველობაზე ანატოლი განტვარგაა (სსრ კავშირი) და ჰარმ ვირსმა (ჰოლანდია) შორის. მოშაშვებმა მერვე პარტია ყაიმით დაამთავრეს და ახლა ანგარიშია 4:4.

თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანების „განთიადის“ კიდევ ერთი სახეობის პროდუქციას — საძილე გარნიტურს მიენიჭა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი. კომპლექტში შემავალი რვა საგანი გამოირჩევა მხატვრული დამუშავებითა და დეკორატიულობით.

მარტო მომდინარე წელს ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვება სამ მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜᲖᲔ: თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანების „განთიადის“ მიერ დამზადებული საძილე გარნიტური, რომელსაც სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა.

ვ. მოგბუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ

ᲕᲔᲠᲛᲘᲡ ტელეფონის აპარატების ქარხანაში უკვე დიდი ხანია დაწერგლია ლვოველთა ინიციატივა — ხარისხის კომპლექსური მართვის სისტემა. ქარხნის ნაწარმის 88 პროცენტს მინიჭებული აქვს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜᲖᲔ: პერმის ტელეფონის აპარატების ქარხნის ხარისხისნიშნიანი ახალი პროდუქცია.

ე. ზაგულიავის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲖᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ სსრ. გროდნოს ხელთათმანების ფაბრიკა ყოველ წელს ოთხ მილიონ წყვილ ხელთათმანს აწვდის ქალაქის სავაჭრო ქსელს.

გროდნოელმა მემოდელეებმა ზამთრის სეზონისათვის მრავალი სიახლე შეიმუშავეს. წარმოებაში ჩაშვებულია მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ხელთათმანების 60-ზე მეტი მოდელი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜᲖᲔ: გროდნოს ფაბრიკის ნაწარმის ახალი ნიმუშები.

ე. კოჯიულის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რედაქტორი
გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეცხრამეტე ტურის მატჩი ქუთაისის „ტორპედომ“ ხარკოვში გამართა. აქ იგი შეხვდა ადგილობრივ „მეტალისტს“. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ დინამოელები რ. შენგელია, ვ. გუცაევი, ვ. დარასელია, გ. ჭილაია და ა. ჩივაძე მიიწვიეს საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში. უნდა ითქვას ისიც, რომ „ჰამბურგთან“ მატჩისათვის მზადების გამო თბილისელები რუმინეთის ოლიმპიელებთან 14 ოქტომბრის შეხვედრაში არ ითამაშებენ. ორი დინამოელი თ. სულაქველიძე და რ. ჩელებაძე საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებში არიან გაწვეული. ნაკრების კანდიდატები არიან აგრეთვე ო. გაბელია და თ. კოსტავა. ამ უკანასკნელმა უკვე დაიწყო ვარჯიში. ფიფას ახალი წესების თანახმად, ისინი, ვინც მსოფლიო პირველობაში მონაწილეობდნენ, ოლიმპიურ ასპარეზობებში არ დაიშვებიან. ოლიმპიურ ნაკრებში ამიტომ ვერ ვხედავთ დ. ყიფიანსა და შ. ხინჩაგაშვილს.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „დინამოსა“ და ვოროშილოვგრადის „ზარიას“ მატჩი 21 ოქტომბრის ნაცვლად 20 ოქტომბერს გაიმართება. ამ შეხვედრის ერთი დღით ადრე დანიშვნა იმან განაპირობა, რომ თბილისის „დინამოს“ „ჰამბურგთან“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩისათვის მზადების უკეთესი პირობები შეექმნას.

ᲢᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 28-ე ტურის ბოლო ორი შეხვედრა. ეს მატჩები ასე დამთავრდა: „ზენიტი“ — „ჩერნომორეცი“ 2:0, „ლოკომოტივი“ — „კრილია სოვეტოვი“ 2:1.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ 28-Ე ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	17	8	3	54-20	42
„შახტიორი“	16	8	4	46-23	40
„დინამო“ (კ.)	17	5	6	38-19	39
„დინამო“ (თბ.)	15	11	2	42-19	38
„დინამო“ (მ.)	14	7	7	32-22	35
„ზენიტი“	11	7	10	37-36	29
„დინამო“ (მნ.)	11	6	10	32-26	28
ცსკა	10	7	11	35-34	27
„ფაზთაქორი“	10	7	10	31-37	27
„არარატი“	9	12	7	33-26	26
„ჩერნომორეცი“	8	9	11	25-29	24
„ყაირათი“	7	7	14	22-34	21
„ლოკომოტივი“	6	11	11	36-46	20
„ტორპედო“	6	9	13	23-33	20
ასკ	5	14	9	30-44	18
„ნეფთჩი“	5	8	15	22-42	18
„ზარია“	4	9	15	30-48	16
„კრ. სოვეტოვი“	6	3	19	17-47	15

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 16.30 — ამიგურიენგთათვის — ქიმია (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — შვეისწავლოთ ფრანგული ენა, 17.35 — მულტიკულტურული ფილმი, 17.55 — მოსწავლეთათვის — „კიდევაც დაიზრდებიან“ (ფ.). 18.20 — საგილვეიზიო დოკუმენტური ფილმი „ბაღი და მისი პაგრონი“ (ქართულ ენაზე. ფ.), 18.30 — პლენერის შესახვედრად — კარები წყვეტენ ყველაფერს, 18.55 — ფლობუსი (ფ.), 19.45 — ღღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — მღერის „ციხეფერი გრეიო“ (ფ.), 21.00 — საგეგეზიო მრავალსერიანები დოკუმენტური ფილმი „აღორძინება“ ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის მიხედვით, ფილმი მეხუთე. პრემიერა (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — თეატრი და ცხოვრება.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ: 15.35 — გასართობი კინოპროგრამა ბავშვებისათვის, 16.05 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგეგეზიო დოკუმენტური ფილმი „დედაენა ხვალინდელ სათვის“, 16.25 — კონცერტი, 17.10 — მასწავლებლის საათი — ხაზვა (ფ.) 17.55 — განცხადებები (ფ.), 18.00 — კინონარკვევი, 18.15 — მეათე კლასის მოსწავლეთათვის — ფიზიკა (ფ.), 18.45 — მხატვრული ფილმი „ფიქრები კოვკაზზე“. ფილმი მესამე. მეორე სერია (ფ.).

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **კონცერტი**; შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **მუფუბა წყვდიადისა**; კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ეზოში ავი ძაღლია**; მინიატიურების სახელმწიფო — **ზოგიერთის შვის დანნეღება საქართველოში**; რუსთაველის სახელმწიფო დრამატული — **ზურიკელა**; ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — **რ. კერერის (ფორტეპიანო) კონცერტი**; კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — **დარბაზს მიღმა გაზაფხულია.**

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მომგებიანი ანაბრის მოგებათა 74-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა დაბა ჩოხატაურში 1979 წლის 5 ოქტომბერს.

მოგება ხვდა საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში მოთავსებული მომგებიანი ანაბრების შემდეგ ნომრებს:

ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა ანაბრებში თანხლილ სამუშაოთა	ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა ანაბრებში თანხლილ სამუშაოთა
ა — 10	200%	ა — 557	25%
ა — 66	25%	ა — 571	25%
ა — 103	25%	ა — 621	25%
ა — 141	100%	ა — 655	25%
ა — 187	50%	ა — 718	25%
ა — 228	25%	ა — 740	25%
ა — 271	25%	ა — 767	25%
ა — 306	25%	ა — 820	100%
ა — 357	25%	ა — 863	25%
ა — 398	50%	ა — 900	25%
ა — 426	25%	ა — 943	25%
ა — 454	25%	ა — 967	25%
ა — 491	25%		

შემნახველ სალაროებში, სადაც ანგარიშების რიცხვი 1000 მეტია, ყველა მომდევნო ათასეულში მოგება ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიცაა პირველ ათასეულში. ა 1010; ა 2010; ა 3010; ა 1066; ა 2066; ა 3066 და ასე შემდეგ.

ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — სახალხო დეპუტატების ჩოხატაურის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — ს. ზ. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების საქართველოს რესპუბლიკური მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე — ა. Თ. ᲨᲔᲤᲐᲠᲓᲔᲜᲘᲫᲔ.

სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების საქართველოს რესპუბლიკური მთავარი სამმართველოს უფროსი ინსპექტორი — ბ. Თ. ᲙᲣᲠᲗᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲘ

ᲐᲜᲣ ᲐᲡᲝᲒᲘᲗ ᲛᲝᲬᲛᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲘᲙᲐᲤᲔᲡ ᲒᲖᲐ ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲛᲐ

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ საქმეთა ონის რაიონულ განყოფილებაში საგანგაშო სიგნალი მოვიდა. მისი ავტორი იტყობინებოდა, თუ როგორ გაიტაცეს ბორტმოქმედებმა ღამით შქმერის საიალალო საძოვრის საჩეხიდან შეუბნის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ორი მოზვერი და ერთი დეკეული. ურდებმა პირუტყვი სატვირთო ავტომანქანის ძარაზე შესვეს და სიბნელეში გაუჩინარდნენ.

ონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ზ. გოგრიჭიანის განკარგულებით ოპერატიული ჯგუფი დაკომპლექტდა. მისი ხელმძღვანელობა გამოცდილმა ჩეკისტმა, განყოფილების უფროსის მოადგილემ ვ. ჯაფარიძემ ითავა. უბნის ინსპექტორ ნ. გობეჯიშვილთან ერთად დაისახა მოქმედების გეგმა. ჯგუფის წევრებმა გეზი ალპური საძოვრებისაკენ აიღეს, გულმოდგინედ დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, გამოჰკითხეს მწყემსებსა და სოფელ შქმერის მცხოვრებლებს.

ბორტთა მრუდე გზა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მოკლე გამოდგა. ცხელმა კვალმა მილიციის მუშაკები ქ. ონში მცხოვრებ, სამოცდაათ წელს გადაცილებულ პენსიონერის ფილხაზ აბრამის ძე ყოყუაშვილის ეზოს ჭიშკართან მიიყვანა. მალე ნივთიერი მტკიცებაც აღმოჩნდა. ფილხაზს მოზვრების დაკვლა-გატყავება უკვე დაემთავრებინა, და ის-ის იყო დეკეულის ყელის გამოსაჭრელად დანას ლესავდა, მაგრამ დაუპატიჟებელი სტუმრების დანახვისას ბასრი იარაღი ხელიდან გაუვარდა. რომ იტყვიან, იაფად ნაშოვნი ლუკმა ყელზე დაადგა.

მალე ყველაფერი ნათელი გახდა. პირუტყვის ქურდობაში მხილებულ იქნა შეუბნის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის სატვირთო ავტომანქანის მძღოლი ბორის ხიდეშელი და შქმერელი არასრულწლოვანი, ქ. ონის საღამოს საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე, კომკავშირელი გივი იაშვილი. ამ ორმა „ძმაკაცმა“, რომლებიც ერთმანეთს თითქმის მამა-შვილად შეჰფერიან, მოიპარეს პირუტყვი და ფ. ყოყუაშვილს ჩალის ფასად, 600 მანეთად შეჰყიდეს.

ძიებამ ქურდების მიერ ჩადენილი სხვა „საგმირო“ საქმენიც გამოავლინა. ეს არამზადები თურმე ფილიალ ნანია ეწეოდნენ თავიანთ შავბნელ საქმეებს, იპარავდნენ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, ჰყიდდნენ მათ და არამი ლუკმით ისქელებდნენ ჯიბეს. პირველად მათ საქონელი ამა წლის ივლისში მოიპარეს. ავაზაკებმა მოირჩევა დახვეწილი ფორმით. ეს ამ პერიოდის ძვირფასი ლითონისაგან ნაკეთები იარაღის აღმოჩენის პირველი შემთხვევაა ჩვენში და საერთოდ კავკასიაში. ამასთანავე ამ ყორღანში, სამგორისა და № 1 ყორღანისაგან განსხვავებით, სადაც თითო-ორობა თიხის ჭურჭელი იყო, აღმოჩნდა ათზე მეტი ბრწყინვალე თიხის ჭურჭელი შავპრიალა და შესანიშნავად ორნამენტირებული.

ულევარის ყორღანები იმ ხანას მიეკუთვნება, როდესაც ჩვენში და საერთოდ კავკასიაში პირველად იწყებს გავრცელებას დასაფლავების ახალი წესი — ყორღანული სამარხი.

საიდან და რა გზით შემოდის საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ III ათასწლეულის მეორე ნახევარში სამრეთ რუსეთის ტაებში ხალხთა მასების დიდი მოძრაობა შეინიშნება სხვადასხვა მიმართულებით. ზოგიერთი მკვლევარი ინდო-ევროპელთა ტომების პირველ საცხოვრისს სწორედ აქ ვარაუდობს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათი ერთი ტალღა ამიერკავკასიასაც აღწევს და შესაძლოა ამის ანარეკლია სწორედ ის, რომ ქართველურ ენებში საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდან ჩნდება ინდოევროპული ელემენტები. აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი იმასაც ვარაუდობდა, რომ შესაძლოა, III ათასწლეულის შუა ხანებში ჩრდილოეთიდან უცნობი ინდოევროპული ტომების ტალღა შემოჭრილიყოს, რაც აისახა ქართველურ ენებში.

სანამ მსგავსი ძეგლების რაოდენობა არ გაიზრდება, ჯერჯერობით ძნელია გარკვევით მათი თარიღის შესახებ მსჯელობა. და მაინც ულევარის ყორღანები შეიძლება დავათარიღოთ ძვ. წ. XXIV-XXIII საუკუნეებით.

აქვე გვინდა მადლობით მოვიხსენიოთ როგორც მარტყოფის, ისე პარტიის გარდაბნის რაიკომისა და აღმასკომის ხელმძღვანელები, მათმა გულისხმიერებამ ბევრად შეუწყო ხელი ექსპედიციის წარმატებებს.

სამგორისა და მარტყოფის მიდამოებში აღმოჩენილი ყორღანების არქეოლოგიური შესწავლა მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

Გ. ᲐᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;

Ა. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ,

ექსპედიციის რაზმის უფროსი.

ᲠᲐᲡ ᲛᲐᲚᲐᲕᲔᲜ ᲧᲝᲠᲦᲐᲜᲔᲑᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ულევარის პირველი ყორღანის სამარხი ნაგებობის საერთო ხედი; პირველ და მეორე ყორღანებში აღმოჩენილი ნივთები.







ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲥᲕᲐᲚᲓᲐᲥᲕᲐᲚ

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ საქმეთა ონის რაიონულ განყოფილებაში საგანგაშო სიგნალი მოვიდა. მისი ავტორი იტყობინებოდა, თუ როგორ გაიტაცეს ბორტმოქმედებმა ღამით შქმერის საიალალო საძოვრის საჩეხიდან შეუბნის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ორი მოზვერი და ერთი დეკეული. ურდებმა პირუტყვი სატვირთო ავტომანქანის ძარაზე შესვეს და სიბნელეში გაუჩინარდნენ.

ონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ზ. გოგრიჭიანის განკარგულებით ოპერატიული ჯგუფი დაკომპლექტდა. მისი ხელმძღვანელობა გამოცდილმა ჩეკისტმა, განყოფილების უფროსის მოადგილემ ვ. ჯაფარიძემ ითავა. უბნის ინსპექტორ ნ. გობეჯიშვილთან ერთად დაისახა მოქმედების გეგმა. ჯგუფის წევრებმა გეზი ალპური საძოვრებისაკენ აიღეს, გულმოდგინედ დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, გამოჰკითხეს მწყემსებსა და სოფელ შქმერის მცხოვრებლებს.

ბორტთა მრუდე გზა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მოკლე გამოდგა. ცხელმა კვალმა მილიციის მუშაკები ქ. ონში მცხოვრებ, სამოცდაათ წელს გადაცილებულ პენსიონერის ფილხაზ აბრამის ძე ყოყუაშვილის ეზოს ჭიშკართან მიიყვანა. მალე ნივთიერი მტკიცებაც აღმოჩნდა. ფილხაზს მოზვრების დაკვლა-გატყავება უკვე დაემთავრებინა, და ის-ის იყო დეკეულის ყელის გამოსაჭრელად დანას ლესავდა, მაგრამ დაუპატიჟებელი სტუმრების დანახვისას ბასრი იარაღი ხელიდან გაუვარდა. რომ იტყვიან, იაფად ნაშოვნი